საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №128/04
2022 წლის 27 სექტემბერი

ქ. თბილისი

„კომერციულ ბანკებში რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 21 ნოემბრის №228/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„კომერციულ ბანკებში რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 21 ნოემბრის №228/04 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 22/11/2019; ს/კ: 220010000.18.011.016419) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-3 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ისინი ბანკისთვის წარმოადგენენ ერთ რისკს, რადგან მათ შორის არის ისეთი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, რომ თუ ერთ-ერთ წევრს შეექმნება ფინანსური პრობლემები (მაგალითად, მათ შორის, დაფინანსებასთან ან/და გადახდებთან (მათ შორის, სესხის) დაკავშირებული სირთულეები და სხვა) მაშინ შესაძლოა, მეორე ან ყველა დანარჩენი წევრი ასევე აღმოჩნდეს ფინანსური სირთულეების წინაშე.“.

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფის განსაზღვრის ინსტრუქცია ამ დებულების დანართის შესაბამისად განისაზღვრება.“.

2. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. ბანკი ვალდებულია ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფის განსაზღვრის შიდა მეთოდოლოგია შესაბამისობაში მოიყვანოს ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ინსტრუქციასთან და 2022 წლის 31 დეკემბრამდე წარუდგინოს ეროვნულ ბანკს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე**